19/05/2021

ანდრია ჯაღმაიძე – ანტიოქიის პატრიარქის ასლან ბჟანიასთან შეხვედრა ნეგატიური მოვლენაა, უცნაური ფაქტია და ამაზე რეაგირება გვექნება

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ანდრია ჯაღმაიძე ანტიოქიის პატრიარქთან ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ ასლან ბჟანიას შეხვედრას ეხმაურება.

ჯაღმაიძის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე საქართველოს საპატრიარქოს რეაგირება ექნება.

„ეს არის ნეგატიური მოვლენა. უცნაური ფაქტია და რა თქმა უნდა, ამაზე გვექნება რეაგირება. თუმცა, მანამდე საჭიროა გარკვეული კომუნიკაცია, დეტალების დაზუსტება. რა ფორმით იქნება ეს, უნდა დაველოდოთ საგარეო ურთიერთობების განყოფილებას“, – განაცხადა ჯაღმაიძემ.

1tv.ge